



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია  
სტუ-ს აკადემიური  
საბჭოს  
2012 წლის 6 ივლისს  
N 733 დადგენილებით

მოდიფიცირებულია  
სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
2016 წლის 21 ივნისის  
N 2028 დადგენილებით

## დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

### პროგრამის სახელწოდება

ბიზნესის ადმინისტრირება

Business Administration

### ფაკულტეტი

ბიზნეს-ინჟინერინგი

Business- Ingenering

### პროგრამის ხელმძღვანელი

სრული პროფესორი ევგენი ბარათაშვილი

### მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი  
Doctor of Business Administration.

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 180 კრედიტის შესრულების შემთხვევაში.

### პროგრამის მოცულობა კრედიტებით

180 კრედიტი

### სწავლების ენა

ქართული

### პროგრამის მიზანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და ინოვაციური მეთოდების გამოყენების უნარების მქონე, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესატყვისი უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებისა და მკვლევრების მომზადება.

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომი. მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.). გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიასთან.

## სწავლის შედეგები და კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

### - ცოდნა და გაცნობიერება

- ბიზნესის ადმინისტრირების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაღრმავება.

### - ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- ბიზნესის ადმინისტრირების აქტუალური პრობლემების ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.

### - დასკვნის უნარი

- ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ახალი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება; ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტიანი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.

### - კომუნიკაციის უნარი

- მშობლიურ და უცხოურ ენებზე ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადების, აუდიტორიისათვის შესაბამისი პრეზენტაციებისა და წერილობითი ინფორმაციის მომზადების უნარი; საჯარო გამოსვლების წარმართვის უნარი.

### - სწავლის უნარი

- ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში.

### - ღირებულებები

- ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

## სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები

ლექცია  პრაქტიკული  სემინარი  სამეცნიერო-თემატური სემინარი  კონსულტაცია

დამოუკიდებელი მუშაობა  კვლევითი კომპონენტი  დისერტაციის გაფორმება   
დისერტაციის დაცვა

### სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერთი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (**collaborative**) მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ელექტრონული სწავლების (**learning**) მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

#### 1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.

2. **დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამძლავებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

3. **ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

#### 4. წიგნზე მუშაობის მეთოდი.

5. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

6. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

7. **ევრისტიკული მეთოდი** - ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

8. **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.

9. **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;

- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

**10. როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

**11. დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

**12. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.**

- სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

**13. ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

**14. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

**15. წერითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

## სტუდენტის ცოდნის შეფასება

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს

ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**სადოქტორო ნაშრომის** შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით:

- ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები იხილეთ შესაბამის სილაბუსებში და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შეფასების წესში, იგი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე:

<http://www.gtu.ge/learningStu/doctorantura.php>; <http://www.gtu.ge/study/index.php>

### დასაქმების სფერო

- უმაღლესი სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- სამეცნიერო ორგანიზაციები;
- საკონსულტაციო და ანალიტიკური დაწესებულებები;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- მსხვილი კერძო ფირმები (იურიდიული პირები);
- სახელმწიფო უწყებები და დაწესებულებები (სტრუქტურები).

## პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით.

სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

აღნიშნულ პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფენ ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის ქვემოჩამოთვლილი პროფესორები:

ევგენი ბარათაშვილი – სრული პროფესორი

კარლო ღურჭკაია – სრული პროფესორი

რუსუდან ქუთათელაძე – სრული პროფესორი

ანზორ აბრალავა – სრული პროფესორი

ალექსანდრე სიჭინავა – სრული პროფესორი

გიორგი მალაშხია – სრული პროფესორი

რამაზ ოთინაშვილი – სრული პროფესორი

ტარიელ კიკვაძე – სრული პროფესორი

გურამ ჯოღია – სრული პროფესორი

ლამარა ქოქიაური – სრული პროფესორი

როზეტა ასათიანი – სრული პროფესორი

დავით აფციაური – სრული პროფესორი

მერაბ გველესიანი – სრული პროფესორი

უმანგი სამადაშვილი – სრული პროფესორი

მარინა მეტრეველი – სრული პროფესორი

ზურაბ ლიპარტია – სრული პროფესორი

ვახტანგ სართანია – სრული პროფესორი

ანტონ ინგოროყვა – სრული პროფესორი

გიორგი ცაავა – სრული პროფესორი

გივი გამსახურდია – სრული პროფესორი

ზურაბ ჩხაიძე – სრული პროფესორი

რატი ბურდიაშვილი – ასოცირებული პროფესორი

ნანა ნადარეიშვილი – ასოცირებული პროფესორი

ნაირა გალახვარიძე – ასოცირებული პროფესორი

ბესიკ ბარკალაია – ასოცირებული პროფესორი

ნინო ფაილოძე – ასოცირებული პროფესორი

შოთა ვეშაპიძე – ასოცირებული პროფესორი

ზურაბ ვაშაკიძე – ასოცირებული პროფესორი

პარმენ ლემონჯავა – ასოცირებული პროფესორი

**პროგრამის სასწავლო გეგმა**

№	საგნის კოდი	სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტები	I წელი		II წელი		III წელი		სულ კრედიტები
			I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	
		<b>სასწავლო კომპონენტების სავალდებულო ელემენტები</b>	20	10	15	15			60
1.		აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები	5						5
2.		სწავლების მეთოდები	5						5
3.		პროფესორის ასისტენტობა		5					5
4.		ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება	10						10
5.		ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა		5					5
6.		პირველი თემატური სემინარი			15				15
7.		მეორე თემატური სემინარი				15			15
		<b>კვლევითი კომპონენტი</b>	10	20	15	15	30	30	120
8.		სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 1	10						10
9.		სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 2		20					20
10.		თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი - 1			15				15
11.		თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი - 2				15			15
12.		თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი - 3					30		30
13.		დისერტაციის დასრულება, დაცვა						30	30
<b>ECTS კრედიტები</b>			<b>სემესტრში</b>		<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>180</b>
			<b>სასწავლო წელს</b>		<b>60</b>	<b>60</b>	<b>60</b>		<b>180</b>

სწავლის შედეგების რუკა

№	საგნის კოდი	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	AWSRM07-L	აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები	X	X	X	X	X	X
2	TMS0007-L	სწავლების მეთოდები	X	X	X		X	
3	-	პროფესორის ასისტენტობა	X	X		X		X
4	BCA1007-L	ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება	X	X	X	X		X
5	MCP1007-L	ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა	X	X	X	X		X
7	-	პირველი თემატური სემინარი	X	X	X	X	X	X
8	-	მეორე თემატური სემინარი	X	X	X	X	X	X

№	საათები		ECTS კრედიტი/საათი	ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
	საათები	საგანი										
1.	AWSRM07-L	აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები	5/135	45						2	1	87
2.	TMS0007-L	სწავლების მეთოდები	5/135	45						2	1	87
3.	BCA1007-L	ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება	10/270	120						2	1	147
4.	MCP1007-L	ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა	5/135	45						2	1	87



პროგრამის ხელმძღვანელი

ევგენი ბარათაშვილი

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურის უფროსი

ივანე ჯაგოდნიშვილი

ფაკულტეტის დეკანის  
მოვალეობის შემსრულებელი

მაია ყიფიანი

**მიღებულია**

ბიზნეს-ინჟინერინგის  
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე  
4.07.2012

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან ქუთათელაძე

**მოდირიგებულია**

ბიზნეს-ინჟინერინგის  
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე  
13 მაისი, 2016 წლი  
ოქმი №12

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი

მაია ყიფიანი

**შეთანხმებულია**

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურის ხელმძღვანელი

გიორგი ძიმიგური